გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის პოლიტიკა

სს „ნიკორა "- ს მენეჯმენტი აღიარებს სოციალურ პასუხისმგებლობას გარემოს დაცვის საკითხებში და კომპანიის საქმიანობის პროცესში მუდმივად ზრუნავს გარემოზე უარყოფითი ეფექტის შემცირებაზე.

ბუნებრივი რესურსებითა და ენერგიით სარგებლობა

კომპანია მუდმივად ზრუნავს, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ბუნებრივი რესურსების ფუჭი გამოყენება, რისთვისაც საქმიანობაში ჩართული ობიექტები აღჭურვილია ენერგოეფექტური ტექნიკითა და ხელსაწყოებით, ასევე მუდმივად ხდება ახალი გზების მოძიება და პრაქტიკის დახვეწა იმისათვის, რომ კომპანიამ მოიხმაროს რაც შეიძლება ნაკლები ბუნებრივი რესურსი და გააფრქვიოს ატმოსფეროში რაც შეიძლება ნაკლები ნახშირორჟანგი და წვის შედეგად წარმოქმნილი სხვა აირები.

ნარჩენების მართვა

ოპერირების პროცესში სს,,ნიკორა'' ს პრიორიტეტია ნარჩენების საერთო რაოდენობის შემცირება, ხოლო გარდაუვალი ნარჩენის - რეციკლირება, განადგურება ან ნაგავსაყრელზე შესაბამისი წესების დაცვით განთავსება.

ნარჩენების მართვის პროცესში კომპანია ხელმძღვანელობს შემდეგი პირამიდით:



ნარჩენების შესამცირებლად კომპანია ატარებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებს. ნარჩენების გადამუშავებისათვის (გამოყენებული მცენარეული ზეთის, მუყაოს, მაკულატურის, პოლიეთილენის გადამუშავება) სს ,,ნიკორა '' თანამშრომლობს რამდენიმე

კომპანიასთან. ნაგავსაყრელზე განთავსება ხდება მხოლოდ იმ ნარჩენების, რომელთა გადამუშავება ან ხელახალი გამოყენება შეუძლებელია.

კონტრაქტორი კომპანიები

`მუყაოს,პლასტიკის და პოლიეთილენის გადამუშავების მიზნით სს ნიკორა თანამშრომლობს ,ორ კომპანიასთან - შპს ,,ვეისთ რეციკლინგი'' რომელიც ახდენს მაღაზიათა ქსელებიდან მუყაოს შეგროვებას ტრანსპორტირებას გადამუშავებას. შპს ,,სუფთა სამყარო'' ახდენს საწყობის ტერიტორიაზე მუყაოს,პლასტიკის და პოლიეთილენის შეგროვება, დაპრესვა, ტრანსპორტირებას შემდგომი გადამუშავების მიზნით.

მცენარეული ზეთების შეგროვებას შემდგომი გადამუშავებისთვის ახდენს შპს ,,ბიო დიზელ ჯორჯია,, თითოეულ ობიექტზე სპეციალურ რეზერვუარებში ხდება შეგროვება და ტრანსპორტირება კონტრაქტორის მიერ გადასამუშავებელ ობიექტამდე.

სახიფათო ნარჩენები

სს ,,ნიკორა '' თანამშრომლობს კომპანიებთან, რომელთაც გააჩნიათ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მინიჭებული უფლება სახიფათო ნარჩნების ტრანსპორტირებასა და განადგურება/განთავსებაზე. სახიფათო ნარჩენების, ასევე მობრუნებული პროდუქციის განადგურება ხდება შპს მედიკალ ტექნოლოგის სპეციალური ნებართვის მქონე ინსენერატორში.

თარიღი:1.02.2025

დაამტკიცა:

სს „ნიკორა "-ს გენერალური დირექტორი: ირაკლი ბოქოლიშვილი_____